RSM CORP

01-044/03

Date 28.04.2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს,
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 მარტის N2-301 ბრძანებით შპს „არესემ კორპ"-ს გადაეცა შპს „ბულატის" ფეროშენადნობების წარმოებაზე (სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნული ბრძანების შესაბამისად შპს „არესემ კორპ" უზრუნველყოფს ქ. რუსთავში მდებარე საწარმოში ფეროშენადნობის (სილიკომანგანუმის) წარმოებას.

კომპანიას დაგეგმილი აქვს საწარმოში არსებული სველი ტიპის მტვერდამჭერი სისტემა ჩაანაცვლოს თანამედროვე სტანდარტების, მქონე ე.წ. მშრალი „სახელოიანი" ფილტრებით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად: „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა".

აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართები:

1. ქ. რუსთავში ფეროშენადნობის (სილიკომანგანუმის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ახალი აირმტვერდამჭერი სისტემის ექსპლუატაცია) პროექტის სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი (ელექტრონული ვერსია);

2. შპს „არესემ კორპ"-ის ქ. რუსთავში ფეროშენადნობის (სილიკომანგანუმის) საწარმოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 1 ეგზემპლარი (ელექტრონული ვერსია);

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
01 05 2023
№ 37415

შპს „არესემ კორპი" / ს/კ: 405 216 500 / იურ. მის.: თბილისი, პეტრე ქავთარაძის N8, I შესახვევი, ბინა 25 / ფაქტ. მის.: რუსთავი, გაგარინის 12 / მობ.: (+995 599) 04 94 00 / ელ-ფოსტა: archilkhatiashvili@gmail.com

3. პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის GIS კოორდინატები Shp ფაილების სახით - ელექტრონული ვერსია;

4. მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 14 თებერვლის N05-382304585 წერილი - 1 ეგზემპლარი (ელექტრონული ვერსია).

პატივისცემით,

თემურ მიმინოშვილი

დირექტორი

შპს „არესემ კორპი" / ს/კ: 405 216 500 / იურ. მის.: თბილისი, პეტრე ქავთარაძის N8, I შესახვევი, ბინა 25 / ფაქტ. მის.: რუსთავი, გაგარინის 12 / მობ.: (+995 599) 04 94 00 / ელ-ფოსტა: archilkhatiashvili@gmail.com